Georgian National
Film Center
საქართველოს კინოკინოტეატრების
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი №3

2010



კონკურსები

2010 წლის სექტემბერში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა ორი კონკურსი:

- კონკურსი 2011 წლის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 1 ნოემბერი. საკონკურსო ფონდი - 750 000 ლარი.

- კონკურსი 2011 წლის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის, ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დასაფინანსებლად. განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 1 ნოემბერი. საკონკურსო ფონდი - 300 000 ლარი გამარჯვებული პროექტები გამოვლინდება წლის ბოლოს.

სიახლე

ეროვნული ფილმის დებულება

ეროვნულმა კინოცენტრმა 2010 წლის 14 სექტემბერს დაამტკიცა ეროვნული ფილმის დებულება, რომელიც აწესრიგებს ეროვნული ფილმის სტატუსის მინიჭების საკითხს, სტატუსის გარგრძელებისა და გაუქმების წესებს.

ეროვნული ფილმის სტატუსის არსებობა სავალდებულოა სახელმწიფო მხარდაჭერის მისაღებად . ეროვნული ფილმის მოწმობას გასცემს ეროვნული კინოცენტრი.

კინოწარმოება
მიმდინარე პროექტები
ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული პროექტების უმეტესობა წარმოების პროცესშია, ზოგიერთი სრულდება, ნაწილი კი მოსამზადებელ ფაზაში შედის.

“უშენოდ მგონი მოვკვდები” (ლევან თუთბერიძე)

კინოწარმოება

მიმდინარე პროექტები

ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული პროექტების უმეტესობა წარმოების პროცესშია, ზოგიერთი სრულდება, ნაწილი კი მოსამზადებელ ფაზაში შედის.

- მიმდინარეობს მონტაჟი დოკუმენტურ ფილმზე „ფალავანი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპ..ს. „პალესტრა”, რეჟისორი - თემურ ცავა), ფილმის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოს.

- მიმდინარეობს მონტაჟი სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე „უშენოდ მგონი მოვკვდები” (საპროდიუსერო კომპანია - კინოსტუდია „ნაზარი”, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე). ფილმის პრემიერა შედგება ოქტომბრის ბოლოს.

- მუშაობა მიდის ანიმაციურ ფილმზე „ბუცეფალი” (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „კვალი”, რეჟისორი – მარიამ კანდელაკი). ფილმი 2010 წლის 1 ნოემბრისთვის დასრულდება.

- მიმდინარეობს გადაღება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „გაიღიმეთ” (საპროდიუსერო კომპანია - შ.პ.ს. „ნიკე სტუდიო”, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია). ფილმზე მუშაობა 2011 წლის დასაწყისში დასრულდება.

“გაიღიმეთ” (რუსუდან ჭყონია)

- წარმოებაში შევიდა ანიმაციური ფილმი „უკანასკნელი წერილი'' (პროდიუსერი – შ.პ.ს. „კვალი'', რეჟისორი - პაატა შენგელია). ფილმის პრემიერა 2011 წლის დეკემბრამდე იგეგმება.

- წარმოებაში შევიდა შ.პ.ს. „სანგუკოს'' სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხუთი''. პროექტის ფარგლებში გადაღებები დაასრულა რეჟისორმა თამარ შავგულიძემ ფილმზე „საქართველოში დაბადებულები''. წარმოების პერიოდშია პროექტი „თამაში'' (რეჟისორი ნიკა მაჩაიძე). მოსამზადებელ პერიოდში შევიდა ირაკლი ჩხიკვაძის ფილმი „გული+'' და დავით უჯმაჯურიძის ფილმი „ველური დღეების ქრონიკები''.

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მტრები'' (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „სინეტექი'', პროდიუსერი - ზურაბ მაღალაშვილი, რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).

- დაიწყო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „მარილივით თეთრი'' გადაღება (პროდიუსერი – შპს „ჯაგაგრიპი'', რეჟისორი – ქეთევან მაჭავარიანი). ფილმზე მუშაობა წლის ბოლომდე დასრულდება.

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ღვინის აკვანი'' (საპროდიუსერო კომპანია - „ახალი სტუდია'', რეჟისორი - მერაბ კოკოჩაშვილი).

- დაიწყო დოკუმენტური ფილმის „ჩვენი შვილები'' გადაღება (საპროდიუსერი კომპანია –„საავტორო ფილმების სტუდია'', რეჟისორი – ზურაბ ინაშვილი). ფილმის წარმოება დასრულდება მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე.

- გადაღებები წარმოებს ასევე დოკუმენტურ ფილმზე „უილიამ ოზგუდ ფილდის მოგზაურობა საქართველოში'' (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „იქს-ეფი'', რეჟისორი - გიორგი მრევლიშვილი). ფილმზე მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის 20 დეკემბერს.

- ევროპის დედაქალაქებში დაიწყეს დოკუმენტური ფილმის „სიხარულის ოდა'' გადაღება (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „იქს-ეფი'', რეჟისორი – მიხეილ მრევლიშვილი). ფილმზე მუშაობა მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე დასრულდება.

- დაიწყეს მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე „ეს კახია კავსაძე'' (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „სტუქო'', რეჟისორი – ნანა ჯანელიძე). ფილმი მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

- წარმოებაში შევიდა ანიმაციური ფილმი „ცრუპენტელა აღმზრდელი'' (საპროდისუერო კომპანია – შ.პ.ს. „იქს-ეფი'', რეჟისორი - დავით სიხარულიძე). ფილმზე მუშაობა დასრულდება 2011 წლის დეკემბრამდე.

- მოსამზადებელ პერიოდშია ასევე ანიმაციური ფილმი „რიტუალი'' (პროდიუსერი – შ.პ.ს. „ინფო თბილისი'', რეჟისორები - ზალიკო სულაკაური, გელა ბერიანიძე, ვიქტორ წიკლაური). ფილმზე მუშაობა სავარაუდოდ მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

“მარილივით თეთრი” (ქეთი მაჭავარიანი)

პრეზენტაცია და უორქშიფი

როდუცტ ლაცემენტ- პროდუქციის რეკლამირების ეფექტური მეთოდი

8 ივლისს, სასტუმრო რედისონში, ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით გაიმართა პრეზენტაცია და უორქშოფი თემაზე “Product Placement– პროდუქციის რეკლამირების ეფექტური მეთოდი.”

ღონისძიების მიზანი იყო:

- ფილმებში პროდუქციის განთავსების, როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის ინსტრუმენტის გაცნობა (საერთაშორისო გამოცდილება)
- ქართულ ფილმებში პროდუქციის განთავსების არსებული გამოცდილების გაზიარება
- ფილმებში პროდუქციის განთავსების გზების ძიება.

ეროვნულ კინოცენტრს პარტნიორობა გაუწიეს კომპანიებმა ,,ეისითი კვლევა’’ და ,,ეი&ბი სერვისი’’. სპეციალური მოწვევით თბილისში ვიკი ანტონოპულო, Warner Bros Pictures International-ის გაყიდვების ანალიტიკოსი, ჩამოვიდა.

უორქშოპში მონაწილეობა მიიღეს ქართული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა. კინო-პროდუსერებთან ერთად მათ შეაფასეს ქართული ბაზრის მდგომარეობა და “product Placement”-ის სამომავლო პერსპექტივები.

ქართული ფილმები მონრეალის მსოფლიო კინოფესტივალზე

საგანმანათლებლო პროექტ "ზაფხულის კინოსკოლის" ფარგლებში გადაღებული 4 სტუდენტური ფილმი მონრეალის კინოფესტივალზე(ონრეალ ჭორლდ ილმფესტივალ (26 აგვისტო - 6 სექტემბერი) მოხვდა.

"ავტობანი" - რეჟისორი სანდრო ჯაფარიძე
"სექტემბერი" - რეჟისორი ვაკო კირკიტაძე
"სანგარი" - რეჟისორი ამირან დოლიძე
"უცნობი ჯარისკაცი -ნეიზვესტნი სოლდატ" - რეჟისორი გიგა ლიკლიკაძე

აქედან ორი ფილმი "ავტობანი" და "სექტემბერი" მთავარ საკონკურსო პროგრამაში მოხვდა, "სანგარი" და "უცნობი ჯარისკაცი - ნეიზვესტნი სოლდატ" კი სექციაში Focus on World Cinema. წელს ეს სექცია ირანში დაპატიმრებულ რეჟისორს - ჯაფარ პანაჰის ეძღვნება.

მონრეალის კინოფესტივალზე ასევე მოხვდა ორი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი: ლევან კოღუაშვილის "ქუჩის დღეები" და ალეკო ცაბაძის "რენე მიდის ჰოლივუდში". ორივე ფილმი ნაჩვენები იყო ფესტივალის სექციაში ოცუს ონ ჭორლ ჩინემა.

http://www.ffm-montreal.org/liste_reg_ang.html

ბათუმის საავტორო კინოს V საერთაშორისო კინოფესტივალი

2010 წლის 12–19 სექტემბერს ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ბათუმის საავტორო კინოს V საერთაშორისო კინოფესტივალი. ეროვნული კინოცენტრი კინოფესტივალს მესამე წელია აფინანსებს.
ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 2006 წელს დაარსდა. ორგანიზატორი - ბათუმის ხელოვანთასახლი "არგანი", ოფიციალური პარტნიორი - ქ. ბათუმის მერია.
ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი მეხუთე წელია ტარდება და წარმოადგენს ქვეყანაში ერთ-ერთმნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებას.
წელს ფესტივალის საპატიო სტუმარი იყო ცნობილი ირანელი რეჟისორი აბას კიაროსტამი.

ბათუმის კინოფესტივალზე გრანპრი აიღო დიმიტრი მამულიას ფილმმა "სხვა ცა" (რუსეთი 2010.) საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა თორნიკე ბზიავას ნამუშევარი "აპრილის სუსხი", რომელიც ეროვნული კინოცენტრის დაფინანსებითაა გადაღებული.

RIVERSIDESTUDIOS

ქართული კინოს ფესტივალი ლონდონში – ”კინოში ასახული ცხოვრება”

ქართული კინოს ფესტივალმა ლონდონში (23-26 სექტემბერი) სრული ანშლაგით ჩაიარა. “რივერსაიდ სტუდიო” – ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სივრცე ქართულ ფილმებს დაეთმო. ბრიტანულმა პრესამ ფესტივალს და ქართულ კინემატოგრაფს მაღალი შეფასება მისცა.
გაერთიანებულ სამეფოში ასეთი ფესტივალი მეორედ იმართება. ფესტივალზე ნაჩვენები იყო ყველა დროის საუკეთესო ქართული ფილმები – კლასიკა და თანამედროვე ეროვნული კინოწარმოება. (მაგალითად: აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ნატვრის ხე, ქოლგა, სამი სახლი, გაღმა ნაპირი, ქუჩის დღეები და სხვა) ბრიტანელმა საზოგადოებამ ასევე ნახა უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი რეჟისორების ნამუშევრები. (ოთარ იოსელიანის “შანტრაპა” , ნინო კირთაძის ”ზოგი რამ საქართველოს შესახებ” დიტო ცინცაძის ”გასროლის შიში”)
ფესტივალი მიზნად ისახავდა ბრიტანეთში ქართული კინოს პოპულარიზაციას.
ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, ბრიტანულ-ქართული საზოგადოება, საქართველოს საელჩო გაერთიანებულ სამეფოში, ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა.
ეროვნული კინოცენტრიდან ლონდონში ქართული კინოს ფესტივალს ესწრებოდნენ თამარ ტატიშვილი და ნინო ანჯაფარიძე.

http://www.riversidestudios.co.uk/cgi-bin/season.pl?f=Georgia:%20Life%20Through%20Cinema

Georgian National Film Center
საქართველოს კინოვატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ქართული კინოს ფესტივალი ლონდონში

ქართველები ლატვიის კინოფორუმზე არსენალს

ეროვნული კინოცენტრი წარმოდგენილი იყო რიგაში გამართულ პრესტიჟულ კინოფორუმზე - "არსენალს" (17-26 სექტემბერი, ლატვია).
მანანა სურაძემ, ეროვნული კინოცენტრის სახელით ფორუმზე ქართულ კინემატოგრაფში მიმდინარე პროცესების და კინოცენტრის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია ჩაატარა.

კინოფორუმზე ასევე წარმოდგენილი იყო ორი ქართული კინოპროექტი. პროდიუსერმა თინათინ ყაჯრიშვილმა წარადგინა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი "საგა საბჭოთა ადამიანზე". ხოლო პროდიუსერმა თამარ სულამანიძემ - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი "განქორწინება ქართულად". ორივე მათგანი ფორუმის პროექტების განვითარების სექციაში მონაწილეობდა.

http://arsenals.lv/en/about/arsenals-2

"ქუჩის დღეების" წარმატება

"ქუჩის დღეებმა" სპეციალური ჯილდო მიიღო

ლევან კოღუაშვილის მხატვრული ფილმი "ქუჩის დღეები", ევროპული ფილმების ფესტივალზე, რომელიც 17-23 ივლისს გაიმართა სერბეთის ქალაქ პალიჩში - სუბოტიცაში, კრიტიკოსთა ჟიურიმ შემწყნარებლობის პრიზით დააჯილდოვა (Tolerance Award).

www.palicfilmfestival.com

"ქუჩის დღეები" საზღვრებს გარეთ

ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეები" ევროპული საფესტივალო წარმატებების შემდეგ რუსმა, კანადელმა და ამერიკელმა დისტრიბუტორებმა შეიძინეს. პროექტი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებულია. კინოცენტრის სუბსიდიამ ამ პროექტისთვის შეადგინა 500 000 ლარი.

"ქუჩის დღეები" (ლევან კოღუაშვილი)

საზაფხულო კინოტური

ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებში "საზაფხულო კინოტური" ჩატარდა.
პროექტი საგანმანათლებლო ხასიათისაა და მიზნად ისახავს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას კინო სფეროში. საქართველოს რეგიონებში ქართული ფილმების არაკომერციული ჩვენებების გამართვა ხელს უწყობს ქართული კინოს პოპულარიზაციას.
ჩვენებები გაიმართა: კახეთის რეგიონში, ლეჩხუმში და აჭარის მაღალმთიან რეგიონებში.
პროექტის ორგანიზატორია "კლუბი სარდაფი" (დირექტორი – გიორგი ვასაძე).

რეგიონებში სადიპლომო ფილმების ჩვენება

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში საზაფხულო პროექტი განხორციელდა. რეგიონებში 8 სადიპლომო ფილმის ჩვენება გაიმართა.

30 ივლისიდან 4 აგვისტომდე ფილმები ნაჩვენები იყო ბათუმში, გონიოში და აჭარის მაღალმთიან რაიონში, ხულოში.
დამსწრე საზოგადოება შეხვდა უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანს - რეჟისორ დავით ჯანელიძეს, ასევე კინომცოდნე - ლელა ოჩიაურს. პროექტში მონაწილეობდნენ კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე მომავალი კულტურის მენეჯერები და კინომცოდნეები.

ეროვნული კინოცენტრი და FNE

ეროვნული კინოცენტრი FNE-ის (Filmneweurope) ასოციაციაში გაწევრიანდა. შესაბამისად ილმნეწეუროპე.ცომ - ამ საიტის მეშვეობით ქართული კინოინდუსტრიის შესახებ ინფორმაციას მთელი მსოფლიო მიიღებს. 26 სექტემბრიდან ასოციაციამ ვებგვერდზე ქართული კინოს კვირეული დაიწყო. საიტზე ყოველ დღიურად დაიდება სტატიები და ინფორმაცია ქართული კინემატოგრაფის შესახებ.
ახალი ამბები, კინოპროექტები, ფილმწარმოება, ქართველი რეჟისორების წარმატებები – ეს სიახლეები ევროპული კინოს პრომოუშენისთვის შექმნილი საიტის შემადგენელი ნაწილი ხდება.

http://www.filmneweurope.com/news/region/fne-focus-georgian-cinema-today

http://www.filmneweurope.com

საერთაშორისო კონფერენცია თემაზე "კულტურა და ცვლილებათა პოლიტიკა"

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი მიიწვიეს საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელის მთავარი თემა იყო „კულტურა და ცვლილებათა პოლიტიკა“. კონფერენცია ორგანიზებულია ევროპის საბჭოს მიერ ევროპის კომისიის, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის (EESC), კულტურის ეროვნული ინსტიტუტების (EUNIC), ევროპის კავშირის ჩულტურე ცტიონ ურუპე - ის ტჰე უდაპესტ ბსერვატორყ- ის, ხელოვნების საბჭოებიოს და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაციის (IFACCA) და ევროპის კულტურული ფონდის თანამშრომლობით.

კონფერენცია ჩატარდა ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის (EESC) შტაბბინაში ბრუსელში, 2010 წლის 6-7 სექტემბერს.

კონფერენცია წარმოადგენს ერთ-ერთს იმ ღონისძიებათაგანს, რომელიც ტარდება ევრო საბჭოს CultureWatch ურუპე ინიციატივის ფარგლებში.

კონფერენცია შეეხო ფინანსური კრიზისის შედეგად გამოწვეულ საფრთხეებსა და დანაკარგებს კულტურის სფეროში. აგრეთვე განიხილეს სახელმწიფოს, როგორც კულტურის მნიშვნელოვანი მხარდამჭერის როლი, რაც ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქართული კინოპოლიტიკისთვის.

www.gnfc.ge

www.gnfc.ge

თბილისი, 0105 ზ. გამსახურდიას სანაპირო №4 ტელ: +995 32 999
200 ტელ/ფაქსი: + 995 32 999 102

4, Z. Gamsakhurdia Sanapiro, 0105 Tbilisi, Georgia Tel: + 995 32 999 200
Tel/Fax: + 995 32 999 102 www.gnfc.ge info@gnfc.ge